საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები (საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები)

(დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2025 წლის 21 ივლისის

სხდომის № 13 ოქმით)

შინაარსი

მუხლი 1. პროგრამების დაგეგმვა.....3
მუხლი 2. პროგრამის შემუშავება.....3
მუხლი 3. პროგრამის განვითარების მეთოდოლოგია.....5
მუხლი 4. პროგრამის დამტკიცების პროცედურა.....5
მუხლი 5. პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურა.....5
მუხლი 6. პროგრამის გაუქმების პროცედურა.....6
მუხლი 7. სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.....6
მუხლი 8. სტუდენტთა უფლებების დაცვა პროგრამების გაუქმების შემთხვევაში.....6

დანართი № 1. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობა და საქმიანობის წესი.....7

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები (საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები)

აღნიშნული დოკუმენტის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და გაუმჯობესების პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა, რაც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის.

მუხლი 1. პროგრამების დაგეგმვა

პროგრამების დაგეგმვისათვის უნივერსიტეტი ახორციელებს არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზს, ამისათვის ადგენს იმ ახალ მიმართულებებს, რომლებიც ჩნდება სხვადასხვა დარგებში, აფასებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინებსა და საჭიროებებს, ითვალისწინებს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლების უკუკავშირს პროგრამების მიმართულებით განსავითარებელ მხარეებზე. საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო(ებ)სთან მათი მოთხოვნების გათვალისწინებისათვის, რაც შესაძლოა რელევანტური იყოს პროგრამების დაგეგმვის ეტაპზე.
პროგრამების დაგეგმვის ეტაპზე ასევე ხდება პროგრამის მიზნების შესაბამისობის გათვალისწინება უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვასთან და სტრატეგიული განვითარების მიზნებთან, ასევე ხდება შეფასება იმისა, თუ რამდენად პასუხობს შემოთავაზებული პროგრამა ზოგადად საზოგადოების საჭიროებებს.
პროგრამის დაგეგმვის ბოლო ეტაპია სკოლის არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობის დადგენა და შესაძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პროგრამის შემუშავება

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება შემდეგი პირობების მიხედვით:

- პროგრამის შემუშავება უნდა მოხდეს სწავლების სფეროების კლასიფიკატორის დადგენილ დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.
- პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ: შიდა დაინტერესებული მხარეები - დარგის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი, შესაბამისი სკოლის დეკანი, სტუდენტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და გარე დაინტერესებული მხარეები - დამსაქმებლები (ორგანიზაციები), კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში), პროფესიული ორგანიზაციები. თითოეულ მხარეს შეაქვს თავისი წვლილი იმ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რა გზით უნდა იყოს მიღწეული ისინი.
- თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნიკალურია და დაფუძნებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების დასკვნებსა და გადაწყვეტილებებზე. შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია: შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოები/ინსტრუქციები და პროგრამების/სასწავლო კურსების წარდგენის ფორმები და სხვა.
- პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან, სკოლის მისიასთან და უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, შრომის ბაზრის, დასაქმების (მოთხოვნა-მიწოდების) ანალიზს, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლის და სხვა მხარეების) მოთხოვნებს. პროგრამა

ასევე უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო გამოცდილებას. პროგრამაში შემავალი სხვადასხვა ასპექტი უნდა აღიწეროს მკაფიო და გასაგები ენით.

- საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - სკოლა. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად. უზრუნველყოფს პროგრამის თავსებადობას დადგენილ გარე და შიდა სტანდარტებთან, საგანმანათლებლო პროგრამის (შესაბამისი დანართებით) დროულ წარდგენას ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისადმი.
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი იძლევა მეთოდურ მითითებებს პროგრამის/სილაბუსის შედგენასთან დაკავშირებით, ახორციელებს პროგრამის/კომპონენტების მონიტორინგს და ფორმალური შესაბამისობის დადგენას მოთხოვნებთან, თანამშრომლობს პროგრამის განმახორციელებლებთან/ხელმძღვანელ(ებ)თან, აწარმოებს პროგრამაში ჩართულ პირებთან ინტენსიურ შეხვედრებს/ტრენინგებს. პროცესებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს პროგრამის საბოლოო შემუშავების პერიოდს და ახდენს შესრულების მონიტორინგს.
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის ინიცირება შეუძლია პრეზიდენტს, ვიცე პრეზიდენტს და სკოლის დეკანს. პრეზიდენტი ბრძანებით ამტკიცებს პროგრამის ხელმძღვანელს, შესაბამისი სკოლის ბაზაზე ქმნის პროგრამის კომიტეტს, რომლის მუშაობის კოორდინაციაც ევალება სკოლის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს, პრეზიდენტის ან ვიცე პრეზიდენტის მიერ გაწერილი ვადების გათვალისწინებით. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში # 1.
- პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უკეთებს პროგრამის შემუშავების პროცესს, უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, გარე კოლეგიალური შემფასებლის და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში და პროგრამის პროექტს განსახილველად წარუდგენს სკოლის საბჭოს.
- სკოლის საბჭოს მიერ განხილული საგანმანათლებლო პროგრამის / პროგრამის ცვლილებების პროექტი, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დანართებით და სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შესწავლის და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, იგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში.
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამზადებს საექსპერტო დასკვნას პროგრამის და დანართების შესახებ. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში დასკვნას წარუდგენს სკოლის საბჭოს განსახილველად.
- დადებითი დასკვნის შემთხვევაში, სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის წარდგინების თაობაზე აკადემიური საბჭოსადმი. ხოლო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების/შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, საბჭო აბრუნებს პროგრამის პაკეტს პროგრამის კომიტეტთან მასში ცვლილებების შეტანის მიზნით ან შესაბამისი არგუმენტაციით განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
- აკადემიური საბჭო საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს, გასცემს რეკომენდაციებს პროგრამის და შესაბამისი დანართების განსაახლებლად, ამტკიცებს წარმოდგენილი სახით ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე.
- აკადემიური საბჭოს მხრიდან გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე განახლებული პროგრამის ცვლილებების პაკეტი განიხილება იგივე პროცედურით, როგორც აკადემიურ საბჭოზე პირველად ეტაპზე წარდგენისას. აკადემიური საბჭო საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს, ამტკიცებს წარმოდგენილი სახით ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე.

მუხლი 3. პროგრამის განვითარების მეთოდოლოგია

პროგრამის განვითარებისათვის გამოიყენება შემდეგი პროცედურები:

1. **პროგრამის ფარგლებში სწავლება-სწავლის მუდმივი შეფასება,** რაც მოიცავს:
   ა) ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების მიერ თითოეული სასწავლო კურსის შეფასებას. ამ შეფასებით ხდება სტუდენტთა შეხედულებების დადგენა კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე, კურსის სირთულეზე, სასწავლო რესურსებით კმაყოფილებაზე და სწავლება-სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის საჭირო სხვა ასპექტებზე;
   ბ) ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს ახორციელებს სასწავლო პროცესების მართვის და სტუდენტთა გამოცდილების დეპარტამენტი. ამ შეფასების მიზანია სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი, სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის საჭიროებების დადგენის მიზნით;
   გ) აკადემიური მხარდაჭერის სერვისებით პროგრამის სტუდენტთა კმაყოფილების ყოველწლიური შეფასება.
2. **პროგრამების შუალედური შეფასება,** რაც გულისხმობს პროგრამების შუალედურ შეფასებას აკრედიტაციის მიღებიდან 3 წლის შემდეგ (მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამების შემთხვევაში ყოველი 2 წლის შემდეგ), დანართი 2-ით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის შეფასებისათვის მზადდება თვითშეფასების დოკუმენტი, რომელშიც გამოიყენება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. შუალედური შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ დარგის გარე ექსპერტები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წარმომადგენლები.
3. **პროგრამების გარე შეფასება,** რომელიც ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, სხვა ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ან გარე ექსპერტის მიერ, რისთვისაც უნივერსიტეტი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ამზადებს თვითშეფასებას და/ან შესაბამის დოკუმენტაციას ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს სტანდარტების შესაბამისად, რომელშიც ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის შედეგებს საანგარიშო პერიოდში.

მუხლი 4. პროგრამის დამტკიცების პროცედურა

პირველ ეტაპზე პროგრამის პროექტი განსახილველად წარედგინება სკოლის საბჭოს. სკოლის საბჭოს მიერ განხილული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისი დანართებით იგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში პროგრამის შესწავლისა და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამზადებს საექსპერტო დასკვნას პროგრამის (დანართების) შესახებ, რომელსაც წარუდგენს სკოლის საბჭოს განსახილველად. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის წარდგინების თაობაზე აკადემიური საბჭოსადმი. ხოლო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების/შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, საბჭო აბრუნებს პროგრამის პაკეტს პროგრამის კომიტეტთან, მასში ცვლილებების შეტანის მიზნით. აკადემიური საბჭო საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს წარმოდგენილი სახით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე.

მუხლი 5. პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურა

საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი ახდენს მასში შესატანი ცვლილებების ინიცირებას. ცვლილების პროექტი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსახილველად წარედგინება სკოლის საბჭოს. სკოლის საბჭოს მიერ განხილული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებების პროექტი, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დანართებით და სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შესწავლისა და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, იგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამზადებს საექსპერტო დასკვნას პროგრამის

(დანართების) შესახებ, რომელსაც წარუდგენს პრეზიდენტს და ვიცე პრეზიდენტს აკადემიურ საქმეთა და კვლევის მიმართულებით გასაცნობად, ხოლო სკოლის საბჭოს განსახილველად. სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის წარდგინების თაობაზე აკადემიური საბჭოსადმი. ხოლო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების/შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, საბჭო აბრუნებს პროგრამის პაკეტს პროგრამის კომიტეტთან, მასში ცვლილებების შეტანის მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანა (მოდიფიცირება) ხდება სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. აკადემიური საბჭო საგანმნათლებლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს წარმოდგენილი სახით ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე.

პროგრამის გაუქმების პროცედურა შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 6. პროგრამის გაუქმების პროცედურა
გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ მიიღება აკადემიური საბჭოს მიერ, რომელსაც წინ უძღვის პროგრამის განხორციელების კომპლექსური შეფასება. პროგრამის გაუქმების შესახებ სავარაუდო გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ წერილობითი ფორმით ეცნობებათ პროგრამის სტუდენტებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვტილების მიღებამდე სტუდენტებს აქვთ სათანადო დრო შეასრულონ პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ან სწავლა განაგრძონ სხვა პროგრამაზე.

<u>პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები</u>
პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველი შესაძლოა იყოს:

- პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაბალი რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში
- პროგრამის ფინანსური მომგებიანობა
- უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტების ცვლილება, რაც იწვევს პროგრამის მიზნების აცდენას უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან
- პროგრამის ხარისხის, რელევანტურობისა და კონკურენტუნარიანობის ნაკლებობა
- აკრედიტაციის მოთხოვნები, რაც ეჭვქვეშ აყენებს პროგრამის შესაბამისობას ხარისხის სტანდარტებთან
- შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალის ნაკლებობა პროგრამის განხორციელების გაგრძელებისათვის

მუხლი 7. სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები
პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვტილების მიღებამდე უნივერსიტეტი აწარმოებს კონსულტაციებს სტუდენტებთან და განიხილავს სტუდენტების მიერ მოცემული პროგრამის მოთხოვნების შესრულებისა და სწავლის სხვა პროგრამაზე გაგრძელების შესაძლებლობებს.

მუხლი 8. სტუდენტთა უფლებების დაცვა პროგრამების გაუქმების შემთხვევაში
პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, პროგრამის სტუდენტებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შესაბამისი პროცედურის შესაბამისად. საჩივრის საფუძველი შესაძლოა იყოს პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებული პროცედურული შეცდომა, ან რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება, რაც მტკიცებულებების სახით უნდა ერთვოდეს საჩივრის წერილს. საჩივრის განხილვა ხდება სპეციალურად შექმნილი დამოუკიდებელი წევრებისაგან შემდგარი კომისიის მიერ. სტუდენტს, რომელიც წერს საჩივარს უფლება აქვს საჩივრის განხილვის პროცესში დახმარება მიიღოს ადვოკატისგან. კომისიის გადაწყვეტილება და არსებული მხარდაჭერის სერვისებზე სტუდენტს ეცნობება წერილობითი ფორმით.

დანართი № 1

პროგრამის კომიტეტის შემადგენლობა და საქმიანობის წესი

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში აკადემიური/მოწვეული პერსონალის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის და პროცესზე ქმედითი კონტროლის განხორციელების მიზნით:

1. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში შემავალი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვროს პროგრამის განმახორციელებელთა 2/3-ით, რომლებსაც დეკანი წარუდგენს უნივერსიტეტის პრეზიდენტს დასამტკიცებლად.
2. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში შედის მინიმუმ ერთი პოტენციური დამსაქმებელი (პროგრამის შესაბამისი პროფილის კომპანიის, დაწესებულების ან სხვ. წარმომადგენელი);
3. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში შედის მინიმუმ: 4 სტუდენტი საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, 2 სტუდენტი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში და 4-6 სტუდენტი ერთსაფეხურიანი პროგრამის შემთხვევაში (სასურველია, სტუდენტების წარმოადგენდნენ სწავლების სხვადასხვა წელს). თუ პროგრამაზე არ არის აქტიური სტუდენტი (ახალი პროგრამის შემთხვევაში), მაშინ პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში შევა მინიმუმ 2 სტუდენტი მომიჯნავე/სხვა პროგრამიდან;
4. პროგრამის კომიტეტის შემადგენლობაში შედის მინიმუმ 1 კურსდამთავრებული (თუ პროგრამა ახალია, ან მოქმედია, მაგრამ ჯერ არ ყავს კურსდამთვარებული, პროგ-რამის კომიტეტის შემადგენლობაში შევა მომიჯნავე/სხვა პროგრამის მინიმუმ ერთი კურსდამთავრებული);
5. პროგრამის კომიტეტში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა უწყვეტი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამის სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობით, ქმნის აქტიურ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ბაზას;
6. სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის კომიტეტის მუშაობაში უზრუნველყოფილია მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით;
8. პროგრამის კომიტეტის მუშაობა წარიმართება გაერთიანებული სხდომების და, საჭიროების შემთხვევაში, მცირე ჯგუფებში სამუშაო შეხვედრების ფორმატით;
9. გაერთიანებული სხდომების პრეროგატივაა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) და პროგრამის სწავლის შედეგების რუკის, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის ჩამოყალიბება, პროგრამის დოკუმენტის ტექსტის შემუშავება;
10. მცირე ჯგუფების ფორმირება შეიძლება მოხდეს დარგობრივი ან სხვა ნიშნით, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;
11. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის (მისი შინაარსის, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების, ლიტერატურის და სხვა ასპექტების) განხილვა განხორციელდება სამუშაო შეხვედრების, საჭიროების შემთხვევაში კი - გაერთიანებული სხდომების დროს, სილაბუსის ავტორის პრეზენტაციით;
12. პროგრამის კომიტეტის მუშაობას წარმართავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც იწვევს სხდომებს და აწარმოებს მის ოქმს;
13. პროგრამის ხელმძღვანელი ახდენს ჯგუფების ფორმირებას, განსაზღვრავს მათი მუშაობის გრაფიკს წევრებთან შეთანხმებით და ესწრება სამუშაო შეხვედრებს;
14. პროგრამაზე განხორციელდება გარე კოლეგიალური შეფასება უცხოელი და ქართველი ექსპერტის ჩართულობით;
15. განხორციელდება პროგრამის შედარება ქართულ და უცხოურ ანალოგებთან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
16. პროგრამა გაზიარდება დაინტერესებული მხარეებისათვის და მათგან მიღებული უკუკავშირი აისახება პროგრამაში;

17. განხორციელდება პროგრამის მომგებიანობის, SWOT და სხვა ანალიზი ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით და მოხდება გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრა ან აღმოფხვრის გეგმის შემუშავება;
18. პროგრამის კომიტეტის მუშაობა ეფუძნება ურთიერთთანამშრომლობისა და კოლეგიალობის პრინციპებს;
19. გადაწყვეტილებები მიიღება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
20. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი შიდა (შესაძლებელია გარე) რესურსით განახორციელებს პროგრამის ტექნიკურ მონიტორინგსა და აკადემიურ ექსპერტიზას.
21. დასკვნის ჩამოყალიბებამდე, დეპარტამენტის წარმომადგენელი საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს ინტერვიუირების მექანიზმს პერსონალის პროგრამის შემუშავებაში რეალური ჩართულობის გადასამოწმებლად.